სსიპ ქალაქ ბათუმის N 5
საჯარო სკოლა
ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქუჩა N56
☎ 25 44 91
E-mail: batumi5@mes.gov.ge
ს/კ 245429433

LEPL Batumi Public
School N 5
Batumi, Maikovsky N56
☎ 25 44 91
E-mail: batumi5@mes.gov.ge
ს/კ 245429433

ქალაქი ბათუმი 01 დეკემბერი 2025 წელი

ბრძანება N01/03/62

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შექმნის, განხორციელების და მონიტორინგის მიზნით რეგულაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლების კოდექსის, ეროვნული სასწავლო გეგმის, ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი ნორმების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებისა და ინდიკატორების (ინსტიტუციური მართვა; მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო; ინკლუზიური განათლება; ხარისხის უზრუნველყოფა; უსაფრთხო და დაცული გარემო), ასევე სსიპ ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის წესდების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შექმნის, განხორციელებისა და მონიტორინგის რეგულაცია, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ბრძანებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
2. დაევალოს სკოლის ადმინისტრაციას, საგნის მასწავლებლს, სპეციალურ მასწავლებელს/ინკლუზიური განათლების სპეციალისტს და სხვა ჩართულ პირებს, უზრუნველყონ რეგულაციით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.
3. დირექტორის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილა პირმა, უზრუნველყოს ისგ-ის განხორციელების მონიტორინგი, სემესტრული გადახედვა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.
4. განისაზღვროს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დამუშავებული ინფორმაცია წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს და ექვემდებარება კონფიდენციალურ დაცვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30).

სკოლის დირექტორი /ნუგზარ სურმანიძე/

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შექმნის, განხორციელებისა

და მონიტორინგის რეგულაცია

I. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე რეგულაცია განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (შემდგომში – ისგ) შექმნის, დამტკიცების, განხორციელების, მონიტორინგისა და გადახედვის სამართლებრივ და ორგანიზაციულ წესს.
2. რეგულაციის მიზანია მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით, ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა.
3. რეგულაცია ვრცელდება სკოლის ყველა იმ მოსწავლეზე, რომლისთვისაც დადგენილია ისგ-ის საჭიროება.
4. ისგ წარმოადგენს სკოლის შიდა სავალდებულო დოკუმენტს და ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში.

II. სამართლებრივი საფუძველი

ისგ-ის შექმნა და განხორციელება ეფუძნება:
ა) საქართველოს კონსტიტუციას;
ბ) საქართველოს განათლების კოდექსს;
გ) ეროვნული სასწავლო გეგმას;
დ) ინკლუზიური განათლების მარეგულირებელ ნორმებს;
ე) პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობას;
ვ) სკოლის წესდებასა და შიდა სამართლებრივ აქტებს.

III. ისგ-ის შექმნის საფუძვლები

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება, როდესაც:
   ა) მოსწავლეს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება;
   ბ) მოსწავლეს აღენიშნება სწავლაში მნიშვნელოვანი სირთულე;
   გ) საჭიროა სასწავლო შინაარსის, სწავლების მეთოდების, ტემპის ან შეფასების ადაპტაცია.
2. ისგ-ის შექმნის ინიციირება შესაძლებელია მასწავლებლის, სპეციალისტის, მშობლის ან სკოლის ადმინისტრაციის მიერ.
3. გადაწყვეტილება ისგ-ის შემუშავების შესახებ მიიღება მოსწავლის საჭიროებების შეფასების საფუძველზე.

IV. ისგ-ის შემუშავებაში ჩართული პირები

1. ისგ-ის შემუშავებას ახორციელებს მრავალდარგობრივი გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედიან:
   ა) სკოლის დირექტორი ან მისი მიერ უფლებამოსილი პირი;
   ბ) საგნის მასწავლებელი/მასწავლებლები;
   გ) სპეციალური მასწავლებელი ან ინკლუზიური განათლების სპეციალისტი;
   დ) სკოლის ფსიქოლოგი;
   ე) მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;
   ვ) საჭიროების შემთხვევაში – გარე სპეციალისტი.
2. გუნდი პასუხისმგებელია ისგ-ის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების შეფასებაზე.

V. ისგ-ის შემუშავების პროცესი

1. ისგ-ის შემუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
   ა) მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შეფასებას;
   ბ) ინდივიდუალური სასწავლო მიზნების განსაზღვრას;
   გ) სასწავლო შინაარსის, სწავლების მეთოდებისა და რესურსების ადაპტაციას;
   დ) შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების დადგენას;
   ე) პასუხისმგებელი პირებისა და განხორციელების ვადების განსაზღვრას.
2. შემუშავებული ისგ მტკიცდება სკოლის დირექტორის მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

VI. ისგ-ის შინაარსი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სავალდებულოდ მოიცავს:

1. მოსწავლის იდენტიფიცირების ზოგად მონაცემებს;
2. საგანმანათლებლო საჭიროებების აღწერას;
3. საგნობრივ მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს;
4. სწავლების სტრატეგიებსა და მეთოდებს;
5. სასწავლო რესურსებსა და დამხმარე საშუალებებს;
6. შეფასების მექანიზმებს;
7. მონიტორინგისა და გადახედვის პერიოდულობას.

VII. ისგ-ის განხორციელება და მონიტორინგი

1. ისგ ხორციელდება სასწავლო პროცესის განმავლობაში.
2. მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური პროგრესი ფასდება სისტემატურად.
3. ისგ ეძვემდებარება გადახედვას სემესტრულად ან საჭიროების შემთხვევაში.
4. მონიტორინგის შედეგები დოკუმენტირდება და გამოიყენება გეგმის გაუმჯობესებისთვის.

VIII. კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა

1. ისგ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს და ეძვემდებარება კონფიდენციალურ დაცვას.
2. დოკუმენტზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს.
3. მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

IX. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე რეგულაცია ამოქმედდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებისთანავე.
2. რეგულაციაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ავტორიზაციის მოთხოვნებისა და სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით.
3. რეგულაციის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სკოლის ადმინისტრაცია.